თბილისის ღია უნივერსიტეტი

მარი გოცაძე

უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები საქართველოში.

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156, საქართველო.

თბილისი

2020

ხელმოწერის გვერდი

,, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი”, ბიზნესის სკოლა „ბიზნესის ადმინისტრირება“

,,ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გოცაძე მარი-ის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები საქართველოში.“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”.

თარიღი: _____

ხელმძღვანლის ხელმოწერა: _____

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

რეცენზენტის ხელმოწერა: _____

ავტორის ხელმოწერა: _____

ანოტაცია

განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული განათლების სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობაზე.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზების დასახვა.

კვლევის საგანია უმაღლესი და პროფესიული განათლების სფერო, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა.

ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილეთ საქართველოს განათლების სისტემა და მისი საფეხურები, გავაანალიზეთ საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების რეგულირების საკანონმდებლო საფუძვლები და მათი ეკონომიკური მაჩვენებლები, შევისწავლეთ საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და პროგრამები. თემის სიღრმისეულად წარმოსადგენად გამოვიყენეთ გამოკითხვის მეთოდი.

ჩატარებული გამოკითხვის ანალიზმა აჩვენა, რომ დასაქმების სისწრაფის მიხედვით სირთულეების წინაშე დგანან უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულები, ასევე პრაქტიკული სამუშაოების ნაკლებობას უჩივიან როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები. რეკომენდაციების სახით ისინი გვთავაზობენ გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნებას, სასწავლებელთა ინფრასტრუქტურით აღჭურვას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, პროფესორთა მოტივაციის ამაღლებასა და სასწავლო დაწესებულებათა ტერიტორიული ხელმისაწვდომობის ზრდას.

Mari Gocadze

The ways of raising Competitiveness of higher and vocational education systems in Georgia

Annotation

Education and science are related to the needs of the country, the strengthening of social life and the economy. The success of Georgia's European integration process is notably depends on the effectiveness of the field of education.

The goal of my study is to set ways for increasing the competitiveness within higher and vocational education systems. The subject of study is higher and professional education, while the objective of research is the highest and vocational education systems of Georgia.

In order to achieve the goal, we discussed the educational system of Georgia and its stages, analyzed the legislative basis for regulation of higher education and professional education in Georgia, characcterised the highest and vocational education systems of Georgia according to economic indicators.Besides,we studied current reforms and programs in higher and vocational education systems of Georgia . For studying the issue in depth we used the method of survey.

In accordance with the analysis of our survey, graduates of higher institutions face difficulties according to speed of employmet. Besides, students of higher and vocational institutions complian about lack of practical work. With the aim of improving integration to Europe ,they recommend variety of exchange programes, equip with the material infrastructure of the educational institutions, implementation the modern methods of teaching, increase the motivation of professors and territorial availability of institutions.

შინაარსი

შესავალი----------6

თავი 1. უმაღლესი და პროფესიული განათლება და მათი მიზნები საქართველოში ---10

1.1. საგანმათლებლო კერები საქართველოში უძველესიდროიდან დღემდე--------10

1.2 სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციები და განათლების სისტემა

საქართველოში ---------- 13

1.3.უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამები საქართველოში ----------20

თავი 2. უმაღლესი განათლების სისტემა და მისი რეფორმა საქართველოში----------31

2.1.საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირების საკანონმდებლო საფუძველი----------31

2.2. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ეკონომიკურ მაჩვენებლებში----35

2.3. უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებები საქართველოში----------37

თავი 3. პროფესიული განათლების სისტემა და მისი რეფორმა საქართველოში-------42

3.1. საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის რეგულირების საკანონმდებლო საფუძველი----------42

3.2.საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ეკონომიკურ მაჩვენებლებში-43

3.3. პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და კონკურენტუნარიანობის ამღლების მიმართულებები საქართველოში----------48

დასკვნა ----------55

გამოყენებული ლიტერატურა----------58

დანართი 1 ----------59

დანართი 2----------62

შესავალი

ადამიანური კაპიტალი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია. რაც ნიშნავს რომ, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტიანობაზე. ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების მქონე მოქალაქეთა აღზრდა და მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველსაყოფად რეალური ნაბიჯების გადასადგმელად. „ნებისმიერი ქვეყნის წარმატებისათვის, განსაკუთრებით კი ეკონომიკური აღმავლობისათვის უმნიშვნელოვანესი არის მოსახლეობის განათლებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე“.[1] ექსპერტთა შეფასებით, „ამჟამად ინტელექტუალური საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი ტრადიციულ ბაზრებზე ხუთჯერ უფრო სწრაფად იზრდება“.[2] აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სფეროს ეფექტიან მართვას, სადაც უდიდესი როლი ეკისრება უმაღლეს და პროფესიულ განათლებას.

თაობების შეხედულებები, დამოკიდებულებები, პირადი და საზოგადოებრივი მიზნები, ნაწილობრივ მაინც განპირობებულია იმ მენტალური თუ კონცეპტუალური მოდელებით, რომლებსაც ფორმალური განათლების სისტემა გვინერგავს.

ეროვნული და მსოფლიო საზოგადოების წარმატებული წევრობისათვის მომზადების ტრადიციულ მიდგომასთან ერთად, ფორმალურმა განათლებამ, აგრეთვე, უნდა ასწავლოს ახალგაზრდობას თანაცხოვრების ისეთი წესი, რომელიც

---

[1] პაიჭაძე ნ., ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს კანონზე „უმაღლესი განათლების შესახებ, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი VIII, №4, თსუ, თბ., 2015, გვ. 10.

[2] გელაშვილი ს., განათლებიდან მიღებული სარგებელი და მისი სტატისტიკური გაზომვის მეთოდები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, თსუ, თბ., 2012, გვ. 66.

ხელს შეუწყობს თემის მდგრად განვითარებას. „განათლება მდგრადი განვითარებისათვის არის განათლების პასუხი გლობალურ ცვლილებებზე.რომლის მიზანი არის დაეხმაროს ახალგაზრდებს მდგრადი განვითარების იდეის მნიშვნელობის გააზრებაში (გლობალურად და ლოკალურად), მომავალზე ორიენტირებული, სისტემური და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში და იმ ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში, რომლებიც წვლილს შეიტანს მათი თემის მდგრად განვითარებაში“ .[3]

2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რითაც განათლების ერთიანი ევროპული სივრცის განუყოფელი ნაწილი გახდა. აღნიშნული პროცესი გაღრმავდა ბერლინის კომუნიკესთან მიერთების შემდგომ. უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის მასშტაბების გაფართოებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი ლისაბონის სტრატეგიის შემუშავებამ, რომელმაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა ცოდნის ეკონომიკის ფორმირებას. ამ კონტექსტში განსაკუთრებით ამაღლდა უმაღლესი განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობაში.

უმაღლესი და პროფესიული განვითარების პრიორიტეტულობა თანამედროვე ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობაში კიდევ ერთხელ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმით, რომლის ერთ პუნქტად განათლების რეფორმაა მოცემული: „განათლების რეფორმა უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში“.

ასევე აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტით, 2016-19 წლებში 16 მლნ აშშ დოლარი მოხმარდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის პროფესიული განათლების ახალი პროგრამების დანერგვას.

---

[3] ბრეგვაძე თ., განათლება მდგრადი განვითარებისთვის საქართველო, კვლევის ანგარიში, თბ., 2011, გვ. 3.

გაგრძელდება ევროკავშირთან თანამშრომლობა ადამიანური რესურსების გაძლიერების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას. ასევე, განათლების დონეების ერთმანეთთან ჰარმონიზებისა და განვითარების, პროფესიული განათლებისა და დასაქმების სფეროების ერთმანეთთან დაკავშირების გზით, აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპის რეალიზებასაც. განვითარდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და საჯაროკერძო პარტნიორობის ფორმატში გაფართოვდება არსებული გეოგრაფიული ქსელი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ამოქმედდება პროფესიული განვითარების მწყობრი სისტემა, წახალისებული იქნება მათი სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ. სახელფასო პოლიტიკა დაეფუძნება ცოდნის, გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების ანალიზს .[4]

კვლევის მიზანია საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზების დასახვა.

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოში განათლების სისტემისა და მისი საფეხურების შესწავლა;
- საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების რეგულირების საკანონმდებლო საფუძვლების ანალიზი;
- საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის დახასიათება ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით;
- საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესწავლა.

კვლევის საგანია უმაღლესი და პროფესიული განათლების სფერო.

კვლევის ობიექტია საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა.

---

[4] საქართველოს სამთავრობო პროგრამა „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, 2016-2020“, 2016, გვ. 36.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, დედუქციის, ინდუქციის, შედარების, ანალოგიისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

კვლევის ემპირიული ბაზაა გამოსაკვლევი სფეროს მარეგულირებელი კანონები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში მოცემული ეკონომიკური მაჩვენებლები, ინტერნეტრესურსები და სხვა.

სამაგისტრო ნაშრომის სიახლეა საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზების ანალიზი ამ სფეროში მიმდინარე უახლესი რეფორმების შუქზე.

თავი 1. უმაღლესი და პროფესიული განათლება და მათი მიზნები საქართველოში

1.1. საგანმათლებლო კერები საქართველოში უძველესი დროიდან დღემდე

საქართველოში განათლებას დიდი ისტორია აქვს. ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ (III ს. II ნახევარი). IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა. მაგრამ მალე უცხო დამპყრობთა შემოსევებმა, განსაკუთრებით კი არაბთა ბატონობამ, დიდი ხნით შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება.

ჩვენამდე მოღწეულ სასწავლო დაწესებულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნეკრესის მონასტერია. იგი წარმოადგენდა კახეთის მნიშვნელოვან სასულიერო-საგანმანათლებლო კერას. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ნეკრესელ მღვდელმთავართა მოღვაწეობა VIII ს-ის 40-იანი წლებიდან ეპარქიის გაუქმებამდე. ცნობილი ღვთისმეტყველნი: ნიკოლოზ ნეკრესელი, იოანე ჯორჯაძე, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ამბროსი ნეკრესელი (მიქაძე) აქ სამწყსოს საკეთილდღეოდ იღწვოდნენ და საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწეოდნენ. ნეკრესის მონასტერში წერდნენ და თარგმნიდნენ წიგნებს.

განათლების აღორძინება და ინტენსიური განვითარება დაიწყო XI-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში. შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერები, როგორებიც იყო გელათის აკადემია და იყალთოს აკადემია. ამ დიდი საქმის მოსამზადებელი საფეხურები იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერები საქართველოს საზღვრებს გარეთ: ათონის ივერთა მონასტერი

საბერძნეთში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვა. XIII საუკუნიდან მოყოლებული ჯერ მონღოლთა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ირანისა და ოსმალეთის გამაპარტახებელმა შემოსევებმა დააქვეითეს და დასცეს კულტურა და განათლება საქართველოში.

XVII საუკუნის II ნახევრიდან შეიქმნა პირობები საქართველოს პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული გამოცოცხლებისთვის. XVIII საუკუნეში სახალხო განათლება ხელისუფლების საქმედ იქცა, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო - 1755 წელს გაიხსნა თბილისის სემინარია, 1782 წელს კი - თელავის სემინარია, ითარგმნა და შეიქმნა სახელმძღვანელოები.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამაც გარკვეული წვლილი შეიტანა განათლების, მეცნიერებისა და ქართული კულტურის განვითარებაში. 1855 წელს საქართველოში 150-მდე სასწავლებელი არსებობდა, მათ შორის თბილისის პირველი გიმნაზია, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია და სხვა. 1876 წელს გაიხსნა გორის საოსტატო სემინარია (რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანამედროვე პროფესიული სასწავლებელი). 1883 წლის 4 სექტემბერს ილია წინამძღვრიშვილის დიდი ძალისხმევით და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერითა და დახმარებით, წინამძღვრიანთკარში გაიხსნა საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა. სკოლაში სწავლა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი წესდებით და ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული პროგრამებით მიმდინარეობდა. სკოლაში ისწავლებოდა: მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმოება, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეტყევეობა.

ქართველი პედაგოგიკის მამამთავარი იაკობ გოგებაშვილი მთელ თავის ნიჭს და ძალას ახმარდა სახალხო განათლების საქმეს და მოზარდი თაობის აღზრდას ხალხურობისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე. იაკობ გოგებაშვილის კლასიკურ სახელმძღვანელოებზე „დედა ენასა“ და „ბუნების კარზე“ აღიზარდა უამრავი თაობა.

1914-1915 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა ერთკლასიანი (სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი), ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლები, უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, ქალთა ხუთწლიანი სასწავლებლები, სპეციალური სასწავლებლები, გიმნაზიები (მათ შორის 2 ქართული: თბილისის და ქუთაისის), პროგიმნაზიები, რეალური სასწავლებლები. სამასწავლებლო, სასულიერო, სამრევლო და სხვა სასწავლებლები. ერთი კერძო უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები. საქართველოს ყველა ტიპის (1648 დაწყებითი სკოლა) სკოლაში სწავლობდა 124,720 მოსწავლე.

ლენინური კულტურული რევოლუციის პირველი რიგის ამოცანად იქცა წერაკითხვის უცოდინრობის აღმოფხვრა და სახალხო განათლების მთელი საქმის ძირეული გარდაქმნა სოციალისტურ საფუძველზე. 1921 წელს საქართველოს სსრ განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაამუშავა რესპუბლიკის „მთლიანი შრომის სკოლის დებულება“, რომლის საფუძველზეც საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ორივე სქესის ბავშვებისთვის უფასო, საყოველთაო განათლება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლა, სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანა, ქალვაჟთა ერთად სწავლება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ახალი საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ძირითად პრინციპებს შეადგენდა.

უმაღლესი განათლების აღორძინებისათვის ჯერ კიდევ კერები 1900 წლიდან მზადდებოდა. 1903 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სექცია, ხოლო 1907 წელს იქვე დააარსა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც მოხსენებებს მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ. ის ამზადებდა ნიადაგს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების დასაფუძნებლად, ქართული მეცნიერების განვითარებისათვის. 1911-12 წლებში ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ჩაატარა ანკეტირება - გაარკვია, რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთსა და საზღვარგარეთ; რამდენი და რა სპეციალობის ქართველი სწავლული მოღვაწეობდა

სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი თავის თანამოაზრეებთან: ი. ყიფშიძესთან, აკ. შანიძესთან, შ. ნუცუბიძესთან, ფ. გოგიჩაიშვილთან და სხვებთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა და აქტიური ბრძოლა გააჩაღა კავკასიაში პირველი უმაღლესი დაწესებულების – უნივერსიტეტის დაარსებისთვის, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა – 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა.

დღეისათვის კი საქართველოში არის 31 უნივერსიტეტი, 21 სასწავლო უნივერსიტეტი, 4 ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 8.[5]

1.2 სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციები და განათლების სისტემა საქართველოში

საზოგადოდ, სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს განათლების სისტემის ფუნქციონირებაში გარე ეფექტების არსებობის გამო, უმცირესობათა უფლებების დასაცავად, დემოკრატიის განვითარებაში განათლების როლის გამო, ყველა მოქალაქისთვის სასტარტო შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაფინანსებლად და სხვა მიზეზების გამო.

პირადი სარგებელის გარდა განათლებას დადებითი გარე ეფექტებიც ახასიათებს:

1) მცოდნე მოსახლეობა ინფორმირებულ ამომრჩეველს ნიშნავს, ეს კი უკეთესი მთავრობის არჩევას გულისხმობს;

2) მცოდნე მოსახლეობა აუმჯობესებს კრიმინოგენულ სიტუაციას;

[5] www. Mes.gov. ge

3) განათლებული საზოგადოება ხელს უწყობს ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებას, ეს უკანასკნელი კი ყველას შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასის დონეს ამაღლებს.



ნახაზი 1.1.

განათლება და სოციალური ოპტიმუმი[6]

ნახაზზე 1.1 ნაჩვენებია, რომ მოთხოვნის მრუდი არ ასახავს პროდუქტის (განათლების) საზოგადოებრივ შეფასებას. იმის გამო, რომ სოციალური ღირებულება აღემატება კერძოს, სოციალური ღირებულების მრუდი და მიწოდების მრუდი (რაც ღირებულებას ასახავს) გადაიკვეთება. ამდენად, სოციალურად ოპტიმალური რაოდენობა მეტია, ვიდრე კერძო ბაზრის მიერ განსაზღვრული რაოდენობა. ამ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია გამოასწოროს საბაზრო ჩავარდნა ბაზრის მონაწილეების სტიმულირებით, გაითვალისწინონ დადებითი გარე ეფექტი. იმისათვის, რომ საბაზრო წონასწორობა საზოგადოებრივ ოპტიმუმთან დააახლოოს, დადებით გარე ეფექტს სუბსიდირება სჭირდება, სწორედ ამიტომ ახდენს მთავრობა განათლების სფეროს სუბსიდირებას.

მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, განათლებაზე ხელმისაწვდომობა როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე საქართველოშიც კვლავ რჩება განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევად და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ამასთანავე, გრძელვადიან პერსპექტივაში გადამწყვეტი მნიშვნელობა

[6] მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, გამომც. დიოგენე ,2008, გვ. 197-198

ენიჭება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც დღეისათვის პრიორიტეტად რჩება განათლების საფეხურებზე.

განათლების სისტემა საქართველოში მოიცავს განათლების შემდეგ საფეხურებს:

1) ზოგადი განათლება
2) პროფესიული განათლება
3) უმაღლესი განათლება



ნახაზი1.2 საქართველოს განათლების სისტემა

საქართველოში ზოგადი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონებით: „ზოგადი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“; მოქმედი ეროვნულ სასწავლო გეგმით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და ხორციელდება სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წელს და ხორციელდება I-VI კლასებში; საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება VII-IX კლასებში; საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება X-XII კლასებში. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და ავითარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. საბაზო განათლების მიღების შემდეგ გაიცემა საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი -საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი სრული ზოგადი განათლების მიღების შემდეგ გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ატესტატი სკოლის საატესტატო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. საატესტატო გამოცდები ტარდება კომპიუტერული ადაპტური ტესტირების მეთოდით (CAT).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.2018 წლის აპრილის თვის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 2085 საჯარო და 224 კერძო სკოლა.

საქართველოში პროფესიული განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებია:

ა) **პროფესიული კოლეჯი** – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) **საზოგადოებრივი კოლეჯი** – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება,** რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;

დ) **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება,** რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ხუთი საფეხურის კვალიფიკაცია. დღეს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამები ხორციელდება პროფესიული განათლების მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. კონკრეტული პროფესიული პროგრამის საფეხური განისაზღვრება პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით, რომელიც ასევე განსაზღვრავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ატესტატი, პროფესიული ტესტირების ჩაბარება და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული დამატებითი პირობები. მეოთხე და მეხუთე საფეხურების პროფესიულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების

დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული დიპლომი.

საქართველოში უმაღლესი განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია და ხორციელდება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:

ა) **კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის- საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

ბ) **სასწავლო უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

გ) **უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი. რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აღწერილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატზე - სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო

პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით ხორციელდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში, მოიცავს 60 კრედიტს. კურსდამთავრებულზე გაიცემა საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საგნობრივი კომპეტენციის დადატურება, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგნობრივი გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

2018 წლის აპრილის თვის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 34 საჯარო და 37 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება[7]

1.2. უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამები საქართველოში

უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის არსებობს პროგრამები, რომელთაც წარმატებულად ახორციელებენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. 2008 წლიდან საქართველოშიც გაიწერა პროგრამა „პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის“. პროგრამის ბიუჯეტი 8 700 000 ლარს შეადგენდა.

პროგრამის მიზნებს წარმოადგენდა:

- პროფესიული განათლების რეფორმირების პროცესის ხელშეწყობა;
- შრომის ბაზრის რეგიონალური მოთხოვნებიდან გამომდინარე მოსახლეობისათვის პროფესიული განათლების მიღების უზრუნველყოფა;
- რეგიონულ დონეზე სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- პროფესიული სწავლების ცენტრების მიერ ადგილობრივ შრომის ბაზარზე მუშაობის პრაქტიკა;
- სწავლის შედეგებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა;
- პროფესიული სწავლების ცენტრების დაფინანსება, მათ შორის დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ უმუშევართა დაფინანსება.

პროგრამის შუალედური შედეგი იყო: მოკლევადიანი სწავლების პროგრამით (3-4 თვიანი კურსი) მომზადებული სპეციალისტები შეფასდა საბოლოო ატესტაციით,

[7] https://eqe.ge/geo/static/7/education-system (ნანახია 03.05.2020)

განახლდა სასწავლო კურუკულუმები პროფესიულ პედაგოგიკაში გადამზადდა ინსტრუქტორმასწავლებლები, ჩამოყალიბდა პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მოდელი.

განათლების და მეცნიერების სამინისტრომ 2016 წლის 1 ივლისს გამოსცა ბრძანება N-527 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2017-2020 წწ.) დამტკიცების შესახებ“, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სხვადასხვა პროგრამა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამაა განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომლის გასატარებელი **ღონისძიებების მიზნებია:**

- განათლების და მეცნიების სფეროში ერთიანი სახელწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფა.

მოსალოდნელ საბოლოო შედეგად მიჩნეულია:

- საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია;
- ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭირვალობა და ხარისხი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია განათლების სფეროში სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

მისი მიზანია:

- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევა და ზედამხედველობა;

- ✓ სასწავლო პროცესის გარემოზე ანგარიშების მომზადება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეპროგრამად ასევე წარმოდგენილია განათლების ხარისხის განვითარება და მართვა, მის მიზნებს კი წარმოადგენს:

- ✓ ქართული საგანმანათლებლო სივრცის ევროპულთან ინტეგრაცია;
- ✓ პროფესიული განათლების სფეროში დისტანციური სწავლების კონცეფციის მომზადება და პილოტირება.

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატს ევალება:

- ➢ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა;
- ➢ სახელწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული სტუდენტების სრული სახელმწიფო დაფინანსება;
- ➢ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;
- ➢ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული არეალის გაფართოება;
- ➢ პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი და მათი პრესტიჟის ამაღლება;
- ➢ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება;

ასევე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ქვეპროგრამები:

- ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება, რომლის განმახორციელებელია სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელწიფო ადმინისტრირების სკოლა.

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რომლის მიზნებია: Data Center ამოქმედება, ელექტრონული ჟურნალის იმპლემენტაცია და ა.შ

- **უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია:**

- ქართულის, როგორც უცხო ენის, ვებგვერდის www.geofl.ge ახალი სასწავლო მეთოდური მასალით მუდმივად შევსება და განახლება;
- უმაღლესი განათლების სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელი საერთაშორისო კვლევის „ევროსტუდენტი“ განხორციელება;
- სტუდენტთა ფასდაკლების ქვეპროგრამის „სტუდენტური ბარათის“ განხორციელება.

სამეცნიერო გრანტების გაცემის ხელშეწყობისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომელმაც კონკურსის წესით უნდა მოახდინოს ახალგაზრდა მეცნიერთა მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება.

„მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის მიზნად დაისახა საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება, ეკონომიკური და სოციალური პროცესების მეცნიერული შეფასება და საზოგადოებისთვის რეკომენდაციების წარდგენა და ა.შ.

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 2019 წელს საქართველოს 100-ზე მეტ (ხოლო ეტაპობრივად 2023 წლამდე საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში) დაინერგება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები (აქტიური სწავლა-სწავლება, ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სწავლის სწავლა, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, აქცენტი გააზრებაზე და არა დამახსოვრებაზე), მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება და თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გუნდური მუშაობის პრაქტიკა. პროგრამის მიზანია ახალი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობა. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა 2018 წელს დაიწყო. დანერგვის ძირითადი ინსტრუმენტები იყო გრიფირებული სახელმძღვანელოები, გზამკვლევები და ცენტრალიზებული ტრენინგები. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გადადის სკოლაში მიმდინარე პროცესების მხარდაჭერაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2014-2016 წლებში შემუშავდა

სახელმწიფო პრიორიტეტების, ფართო საზოგადოების ინტერესებისა და ექსპერტთა წრეების მოსაზრებების გათვალისწინებით. რევიზიის პროცესში ჩართულნი იყვნენ სკოლის პედაგოგები, სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფსიქოლოგები და განათლების სპეციალისტები, უფროსკლასელები და სხვ. ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ყველა ცვლილება სამ ძირითადი ამოცანას ემსახურებოდა:

ა) სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების როლის გაზრდა - სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების მნიშვნელობის გამოსაკვეთად მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყოველწლიური მოკლევადიანი მიზნები (შედეგები და ინდიკატორები) ჩაანაცვლა საფეხურებრივმა გრძელვადიანმა მიზნებმა (IV, VI, IX კლასების ბოლოს მისაღწევი შედეგებმა). ახალი სასწავლო გეგმით მასწავლებელი საფეხურის განმავლობაში ათიოდე მიზნობრივი ორიენტირით ხელმძღვანელობს მაშინ, როცა წინა თაობის სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებელს საფეხურის განმავლობაში თითოეულ საგანში საშუალოდ 150-მდე მოკლევადიანი მიზნით (შედეგებითა და ინდიკატორებით) უწევდა ოპერირება. მესამე თაობის (2018-2024 წლების) ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ გამოიკვეთა საფეხურის შედეგების როლი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მიმართებით. კერძოდ:

1. განახლებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემუშავებული მისია და მიზნები განსაზღვრავს
   იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში
   აღწერილი მოქალაქის ფორმირებისთვისაა საჭირო;
2. ჩამოყალიბდა მიზნების მკაფიო იერარქია, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ გამომდინარეობს
   ყველა საგნის საფეხურის შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმის მისიასა და მიზნებიდან.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები

საგნობრივი ჯგუფის მიზნები

საფეხურის მიზნები და შედეგები საგნების მიხედვით

„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა

პროგრამის მიზანია - საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) და მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემებმა (ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ტყიანი ადგილები სოფლებს შორის, სადაც გარეული ცხოველების საშიშროებაა, მდინარეებზე გადასასვლელები და ა.შ.) წარმოშვა მათი საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე ტრანსპორტით გადაადგილების საჭიროება.
2013 წლიდან „სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამის“ საწყისს ეტაპზე ტრანსპორტი ემსახურებოდა 335 საჯარო სკოლის 15174 მოსწავლეს. ქვეპროგრამის საჭიროებიდან და აქტუალობიდან გამომდინარე მუდმივად იზრდება ბენეფიციართა რაოდენობა. 2015-2016 სასწავლო წლის პირველ სემესტრში „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში ტრანსპორტი მოემსახურა 1123 საჯარო სკოლის 64210 ბენეფიციარს.

ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს ცხრა რეგიონის საჯარო სკოლებში”

პროექტი ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომლის ამოცანაა ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს მაშტაბით და

ამჟამად არსებული ინკლუზიური განათლების პრაქტიკის გაძლიერება. აღნიშნული პროექტი წამოადგენს სამ წლიან პროგრამას (2009-2011), რომელიც ხორციელდება ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით. **პროექტის მიზანია** ინკლუზიური განათლების დანერგვა/განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში და საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური განათლების მდგრადი სისტემის შექმნა ინკლუზიური განათლების შემდგომი განვითარების მხარდასაჭერად. დასახული მიზნის მისაღწევად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი კომპონენტების განხორციელება:

- ადგილობრივი განათლების ორგანოების მომზადება და მათი პროექტში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სამიზნე სკოლების შერჩევა და ფიზიკური გარემოს ადაპტაცია;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა იდენთიპიკაცია, შეფასება, ინდივიდუალური საწავლო გეგმების შექმნა;
- სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციისა და პროფესიონალთა (ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი) მომზადება;
- სამიზნე რეგიონებისთვის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდების ფორმირება და მომზადება: რეგიონის კოორდინატორი, მულტიდისციპლინური გუნდის წევრები;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- საზაფხულო სკოლის დაარსება უნივერსიტეტის ბაზაზე;

პროექტის ამოცანებია:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა რეგიონის საჯარო სკოლებში;
- სპეციალური განათლების სწავლების გაუმჯობესება უმაღლეს სასწავლებლებში;
- რეგიონისა და საჯარო სკოლების საზოგადოების მზაობისა და კეთილგანწყობილი გარემოს უზრუნველყოფა ინკლუზიური განთლებისათვის;

მოსალოდნელი შედეგები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით;
- 10 რეგიონული მულტიდისციპლინური გუნდის ფორმირება ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიზნით;
- 10 საჯარო სკოლის ფიზიკური გარემოს ადაპტაცია;
- სამიზნე სკოლების პედაგოგების პროფესიული განვითარება ინკლუზიური განათლების საკითხებში;
- სპეციალური პედაგოგიკის საზაფხულო სკოლის დაარსება;
- სპეციალური პედაგოგიკის საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამის განახლება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რეგისტრაცია და იდენთიპიკაცია საქართველოს მაშტაბით.

პროექტის სამიზნე ჯგუფები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები;
- სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები;
- სკოლის მოსწავლეები;
- მშობლები;[8]

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (The Organisation for Economic Co-operation and Development – OECD) COVID-19-ის 2020 წლის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად შექმნა პროექტი „ტელესკოლა“, რომლის ტრანსლირება 30 მარტიდან დაიწყო. ტელეგაკვეთილები მოიცავს I-XII კლასების ყველა აუცილებელ საგანს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ პროექტით საქართველოს განათლების სისტემამ დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობაზე იზრუნა.

ასევე შეიქმნა პორტალი, რომელიც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს საშუალებას აძლევს, წვდომა ჰქონდეთ მოსწავლეების მონაცემებზე სკოლის ადმინისტრაციისა და

[8] https://www.mes.gov.ge/higher_edu.php?id=2&lang=geo (ნანახია 05.05.2020)

მასწავლებლის უშუალო ჩართულობის გარეშე. Microsoft TEAMS-ის პლატფორმაზე გამოიყო ვირტუალური საკლასო ოთახი ყველა სკოლის ყველა კლასისა და სასწავლო დისციპლინისთვის. საქართველოს ყველა რაიონში შეიქმნა ვირტუალური საკონსულტაციო სივრცეები, რომლებშიც „ახალი სკოლის მოდელის“ მოხალისე ექსპერტები ტექნოლოგიების მიმართულებით მასწავლებლებს დისტანციურ სწავლებაში ეხმარებიან. შეგროვდა მონაცემები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ინტერნეტზე და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. სტატისტიკის მიხედვით, Microsoft TEAMS-ში ყოველდღიურად ჩართულია 750 აქტიური მომხმარებელი. მთლიანობაში TEAMS-ს ჰყავს 138 698 მომხმარებელი; 23 მარტისთვის Office 365-ს ჰყავდა 143 140 აქტიური მომხმარებელი; ელექტრონულ ფოსტასა და მონაცემების ონლაინ საცავს (OneDrive) ჰყავს დაახლოებით 14 000 აქტიური მომხმარებელი. გარდა ამისა, „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი ჯგუფები აქტიურად მუშაობენ სასკოლო რეფორმაზე, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტი დისტანციური სწავლების დანერგვა და გამოცდილების გაზიარებაა სხვა სკოლებისა და მასწავლებლებისათვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა შესრულებით მშობელი შეძლებს დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში ბავშვის ჩართულობის უზრუნველყოფას. მასწავლებლები კი მშობლებთან მუდმივი კომუნიკაციის გზით მიაწვდიან ინფორმაციას დისტანციური საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რათა მოსწავლემ დროულად და ადეკვატურად შეასრულოს ყველა საჭირო აქტივობა.[9]

კორონავირუსის მასშტაბების ზრდისა და გამოცხადებული პანდემიის პირობებში არაერთ ინდუსტრიასა და სფეროს მუშაობის სხვაგვარ ფორმატზე უწევს

---

9 https://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%20%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90&id=10284&lang=geo (ნანახია 05.05.2020)

გადაწყობა. მათ შორის არის განათლების სისტემა და ტრენინგ ინდუსტრიაც. მართალია ტრადიციულ ტრენინგს მასობრივი თავშეყრის წერტილს ვერ ვუწოდებთ, თუმცა განსაკუთრებული სიფრთხილის ზომებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებითაც რეკომენდებულია ციფრული არხებისა და პლატფორმების გამოყენება, შეხვედრებისა და ტრენინგების დისტანციურად ჩატარება ხორციელდება სხვადასხვა პლატფორმების მეშვეობით:

- ✓ ttps://zoom.us/ – აქტიურად გამოიყენება ონლაინ სწავლების მიზნით. ის კონფერენციებისთვის ერთ-ერთ წამყვან გლობალურ პლატფორმას წარმოადგენს. მობილურითა თუ სხვა ტიპის ციფრული ხელსაწყოების მეშვეობით კი ტრენინგების, ონლაინ შეხვედრების, ვებინარების, კონფერენციების, ფაილების გაზიარებისა და მობილური სწავლების მოქნილ შესაძლებლობებს გვთავაზობს. სწორედ zoom-ის მეშვეობით ხორციელდება უნივერსიტეტში ლექცია სემინარების ჩატარება.
- ✓ http://namqy.ge/– საქართველოში შექმნილი დისტანციური Live სწავლების პლატფორმაა, რომელიც ლექტორსა და მსენელებს შორის ორმხრივ კომუნიკაციას გულისხმობს. პლატფორმით სარგებლობის დროს შესაძლებელია ეკრანისა და სასურველი ფაილების, ჩანაწერების გაზიარება. ასევე, Namqy.ge საშუალებას გვაძლევს როგორც წინასწარ მომზადებული, ასევე ცოცხალი პრეზენტაცია წარვუდგინოთ მსმენელებს. აქვე შექმნათ სამუშაო დაფა და აღვბეჭდოთ მასზე სასურველი ინფორმაცია.
- ✓ https://webinars.ge/– საქართველოში დაფუძნებული ვებინარების პლატფორმაა, რომელიც ახალი თაობის ვებინარებისა და ვიდეო კონფერენციების გამართვის სერვისს გვთავაზობს. ციფრული კომუნიკაციის ახალ სტანდარტებსა და ინსტრუმენტებს კი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის აქტიურად იყენებს.
- ✓ https://oc.ac.ge/ სასწავლო კურსების ვებ-საცავსა და საგანმანათლებლო თანამშრომლობისთვის შექმნილ პორტალს წარმოადგენს. მის მიზანი ხარისხიან, თანამედროვე განათლებაზე მეტი ადამიანისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდაა.

პორტალი ისწრაფვის ლექტორების, მკვლევარების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუტების, კერძო და საჯარო სექტორის აქტიური ჩართულობით უახლესი ცოდნის სწრაფ და ეფექტურ გავრცელებას.

- ✓ https://www.gotomeeting.com/en-ie – ასევე შეგიძლიათ მარტივად გამოიყენოთ ონლაინ შეხვედრების, ვიდეო, მობილური და საკონფერენციო ზარებისთვის, სამუშაო დოკუმენტების გაზიარებისა და ონლაინ ტრენინგებისთვის. მის ძლიერ მხარეს ონლაინ ფორმატში მრავალი მონაწილისა და ვრცელი აუდიტორიის ჩართვა წარმოადგენს. პლატფორმაზე ასევე შესაძლებელია გამართული ვიდეო კონფერენციის ჩანაწერის გაკეთება და მოგვიანებით მათი სხვებისთვის გაზიარებაც.
- ✓ https://www.webex.com/ -პლატფორმა დაცული ონლაინ შეხვედრების, კონფერენციების, კიბერ შეტევებისგან დოკუმენტების უსაფრთხო მიმოცვლისა და ონლაინ გუნდური სამუშაოების ჩასატარებლად სანდო პლატფორმად მიიჩნევა.
- ✓ http://www.schoolbook.ge/ – სკოლების მიერ ერთ-ერთ წარმატებულად ნაცად პლატფორმას წარმოადგენს. ის დავალებების მიღების, გაგზავნისა და უკუკავშირის მიღების საშუალებას გვაძლევს. მასში ჩაშენებულია ონლიან, ინტერაქციული გაკვეთილების ფუნქციონალიც, რომელსაც ეკრანისა და ჩანაწერების გაზიარების Live და Post საშუალებებიც აქვს. ასევე, მისი მეშვეობით ელექტრონული საქაღალდეების, კლუბების, ე.წ ჰაუსების, გადახდების, კათედრების მოდულის შედგენისა და მართვის ციფრულ რეჟიმში შესაძლებლობაც გაგვაჩნია.
- ✓ https://www.khanacademy.org/ – როგორც სხვადასხვა თემატიკაზე დეტალურად ახსნილ აუდიო-ვიზუალურ გაკვეთილებს, ასევე პრაქტიკული დავალებებისა და სავარჯიშოების მიღება- შესრულების მყისიერ შესაძლებლობას გვთავაზობს.

თავი 2. უმაღლესი განათლების სისტემა და მისი რეფორმა საქართველოში

2.1.საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირების საკანონმდებლო საფუძველი

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (მიღებულია 2004 წლის 21 დეკემბერს) განსაზღვრავს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს. კანონი შედგება XVI თავისა და 90 მუხლისაგან.

კანონის I თავის მიხედვით, უმაღლესი განათლების მიზნებად მიიჩნევა:

1) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

2) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

3) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

4) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

5) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.აქ მოცემულია საქართველოს პარლამენტის(მუხლი 5), საქართველოს მთავრობის (მუხლი 6), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (მუხლი 7), საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კომპეტენციები.

კანონში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს;

ბ) პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ანგა¬რიშს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ფინანსური საქმიანობისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ.

კანონში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა:

ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიურ მოცულობებსა და ოდენობებს; უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს, მათ შორის, პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს, და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიურ მოცულობას, ანაწილებს საერთო სამაგისტრო გამოცდას, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და სხვა.

კანონის III თავში განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახე-ობები, დაფუძნება, სტატუსის მოპოვება, მათი ავტორიზაციის, რეორგანიზცისა და ლი¬კვი-დაციის საკითხები (შესაბამისად, მუხლები 9,10,11,12,13).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია (მუხლი 9):

1) უნივერსიტეტი;

2) სასწავლო უნივერსიტეტი;

3) კოლეჯი.

მუხლი 13 ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას,

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორ¬ციელდება ამ კანონით, შესაბამისად „მეწარმეთა შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს მთავრობა იმ ორგანოს წარდგინებით, რომლის ინიციატივითაც დაფუძნდა ეს დაწესებულება/პირი.

3. მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ამ დაწესებულების რეორგანიზაციასა

და ლიკვიდაციას ახორციელებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ლიკვიდაციის შემდეგ აღნიშნული დაწესებულების ქონება გადაეცემა საქართველოს საპატრიარქოს.

კანონი ასევე განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესების სტრუქტურას, მისი მართვის პრინციპებს, წარმომადგენლობითი, აკადემიური, რეგენტთა საბჭოს უფლე-ბამოსილებასა და არჩევის წესს და ა.შ. (თავი IV). კანონის V და VI თავები ეძღვნება საგან-მანათლებლო დაწესებულების პერსონალსა და სტუდენტს. უმაღლესი განათლების საფე-ხურებს და სტუდენტთა მიღების წესს კი აწესრიგებს კანონის VII და VIII თავი.

უსდ-ების ავტორიზაცია განხილულია VIII (1) თავში. კანონის მიხედვით:

1. ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2. ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

3. ავტორიზაციის ვადა 5 წელია.

4. ავტორიზაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით. დაფინანსების წყაროები და უმაღლესი დაწესებულებების ქონება განხილულია მომდევნო თავებში.

2.2. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ეკონომიკურ მაჩვენებლებში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იკვლევს და აქვეყნებს მონაცემებს განათლების სფეროს შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ცხრილების სახით.

ცხრილი 2.1 მოსწავლეთა, სტუდენტთა და დოქტორანტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში[10]

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	**559.4**	**553.0**	**554.0**	**553.9**	**564.7**	**575.2**	**584.4**	**592.9**
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლესსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	**109.5**	**117.7**	**124.2**	**132.9**	**140.3**	**143.8**	**147.7**	**148.8**
დოქტორანტების რაოდენობა, ერთეული	**3 040**	**3 213**	**3 410**	**3 765**	**4 076**	**3 977**	**3 512**	**3 976**

მოცემულ ცხრილში ასახული არის საქართველოში 2012-2019 წლებში მოსწავლეთა, სტუდენტთა და დოქტორანტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში . მოსწავლეთა რაოდენობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 33,5 -ით (6%-ით). სტუდენტთა რაოდენობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 39,3-ით (36%-ით). დოქტორანტების რაოდენობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 936-ით (31%-ით).

ცხრილი 2.2 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა

10

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2 004.5	1 978.6	1 984.6	2 018.0	1 996.2	1 983.1	1 939.9	1 911.2
დასაქმებული, ათასი კაცი	1 659.4	1 643.4	1 694.4	1 733.8	1 717.3	1 706.6	1 694.2	1 690.2
უმუშევარი, ათასი კაცი	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4	245.7	221.0
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	17.2	16.9	14.6	14.1	14.0	13.9	12.7	11.6

ცხრილი 2.2 -ში ნათლად ჩანს რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობათა რაოდენობა შემცირდა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით 93,3-ით (5%-ით), დასაქმებულთა რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა 30,8 (2%-ით), უმუშევართა რაოდენობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით შემცირდა 124,1-ით (36%-ით), უმუშევრობის დონე შემცირდა 5.6%-ით.

ზემოთ ნაჩვენები ცხრილებიდან შეგვიძლია ვთქვათ რომ რადგან გაიზარდა მოსწავლეთა, სტუდენტთა და დოქტორანტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019 წელს 2012 წელთან შედარებით მცირედით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც უმუშევართა რაოდენობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით შემცირდა 36% -ით ასევე შემცირდა უმუშევრობის დონე 5.6%-ით.

2.3. უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებები საქართველოში

განათლების რეფორმის ფარგლებში 2021-2023 წლებისათვის სასკოლო მზაობის პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ყველა აღსაზრდელებისთვის. გარდა ამისა, დაინერგება ახალი სასწავლო პროგრამები და რესურსები, რომლებიც ინკლუზიური და სამოქალაქო განათლების პრინციპებს დაეფუძნება. შემუშავდება და დამტკიცდება მასწავლებელთა სერტიფიცირების ახალი მოდელი და სახელფასო პოლიტიკა.

ზოგადი განათლების მიმართულებით შემუშავდა უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე ორიენტირებული „ახალი სკოლის“ მოდელი. იგი სკოლების ავტონომიასა და დეცენტრალიზაციას, უნიფიცირებული მიდგომიდან დიფერენცირებულ მიდგომაზე გადასვლას, სკოლის დირექტორის ლიდერად ჩამოყალიბებას, გადამზადებულ პედაგოგებს გულისხმობას. „ახალი სკოლის“ მოდელის პილოტირება 150-ე საჯარო სკოლაში წარმატებით განხორციელდა და მისი დანერგვა ეტაპობრივად 2024 წლისათვის ყველა სკოლაში მოხდება.

„ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში სკოლებში განახლდება კომპიუტერული კლასები, აღიჭურვება ინტერნეტითა და WiFi-ით. პირველკლასელთა ნეტბუქები მოდიფიცირდება თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებით (მაგ. Minecraft Education Edition, Scratch და სხვა). განვითარდება ვებგვერდის el.ge, სადაც თავმოყრილი იქნება საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსები. დაინერგება სთრიმინგ გაკვეთილები. საინტერესო სპიკერები ონლაინ რეჟიმში ჩაატარებენ ლექციათა ციკლს, რომელიც მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და მათემატიკური და ალგორითმული უნარების გაღრმავებაზე იქნება ორიენტირებული.

2018-2019 სასწავლო წელს მე-11 და მე-12 კლასელთათვის მოიხსნა გამოსაშვები გამოცდები. შეფასების ახალი მოდელის მიზანია უნივერსიტეტების ავტონომიის

ეტაპობრივი ზრდა, ეროვნული გამოცდების პროგრამის სასკოლო პროგრამასთან დაახლოება და მშობლების დანახარჯების შემცირება.

2020 წლიდან მისაღები გამოცდები სამ სავალდებულო საგანში ჩატარდება: ქართულსა და უცხო ენაში. მესამე კი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების მიხედვით განისაზღვრება: მათემატიკა - ტექნიკური, ხოლო ისტორია - ჰუმანიტარული მიმართულების შემთხვევაში.

მასწავლებლებისთვის გაუქმდება კრედიტქულები. პედაგოგები გათავისუფლდებიან თვითშეფასების ვალდებულებისაგან. გამარტივდება და დაჩქარდება პროფესიაში კადრების შესვლის გზები.

2019 წელს თბილისსა და რეგიონებში 9 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა და 265 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა. განახლდა 8 სპეციალური სკოლაც. დაიწყო 35 ახალი სკოლის მშენებლობა. დაგეგმილია განათლებისა და მეცნიერების ქალაქის აშენება, რომელიც სხვადასხვა საგანმანათლებლო სივრცეს გააერთიანებს.

უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად მანდატურის სამსახური სამ მნიშვნელოვან რგოლს გააერთიანებს: მანდატურს, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებსა და კრიზისული ინტერვენციის ჯგუფს, რომელიც კრიზისულ სიტუაციებზე დროული და ეფექტური რეაგირების მიზნით შეიქმნა. 2019-2020 წლებში მანდატური წარმოდგენილი იქნება დამატებით 260 საჯარო სკოლაში. 8 არსებულ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს 2019 წელს სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში ორი ახალი დაემატება. გარდა ამისა, შეიქმნება მანდატურის სამსახურის 8 რეგიონული ცენტრი.

პროფესიული განათლება რეგიონული განვითარების საჭიროებებსა და სწრაფ დასაქმებაზე იქნება ორიენტირებული. დაგეგმილია ახალგაზრდების პროფესიული მიმართულებით დაინტერესება და მათთვის მომზადება-გადამზადების პროგრამების შეთავაზება. პროფესიული სასწავლებლის დიპლომი სრული ზოგადი განათლების ატესტატს გაუთანაბრდება. კერძო სექტორთან თანამშრომლობით კერძო პროფესიული სასწავლებლებიც დაარსდება.

უმაღლესი განათლების კუთხით შემუშავდა ორწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) დანერგვას ისახავს მიზნად. იგეგმება ცენტრის გაწევრიანება ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR), რაც უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული დიპლომების უპირობო აღიარებას ევროპაში და ქართველი და უცხოელი სტუდენტების მობილობა.

მეცნიერების მიმართულებით 2019 წელს ფონდი ევროკომისიის ინიციატივაში EURAXESS საქართველოც გაწევრიანდება. შეიქმნება EURAXESS-Georgia პორტალი, რომელიც EURAXESS-ის პანევროპულ პორტალთან ინტეგრირდება. პორტალში ამჟამად 40-ზე მეტი ქვეყანაა ჩართული. EURAXESS-ში ჩართვა ქართველი მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომს გახდის ევროკავშირის შიდა სამეცნიერო რესურსებს და გაზრდის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში ჩართვის შესაძლებლობას. გამოიცემა ახალი რეფერირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს მეცნიერების“ (Georgian Science). სახელმწიფო სრულად დააფინანსებს საჯარო და კერძო უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის ELSEVIER-ის სამეცნიერო ბაზებზე წვდომას რაც ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

განათლების რეფორმა ყველა მიმართულებისათვის კომპლექსურ და მათ შორის ინტერდისციპლინურ მიდგომებს გულისხმობს, რაც განათლების ერთიანი სისტემის ტრანსფორმაციას უზრუნველყოფს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა იმ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს უმასპინძლა, რომლებიც სამინისტროსთან ერთად განათლების სფეროს განვითარებისთვის არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებენ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), USAID-ის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის

საზოგადოების (GIZ), ბრიტანეთის საბჭოს, ფრანგული ინსტიტუტისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მსოფლიო ბანკი საქართველოში განათლების სისტემის განვითარებისთვის 100 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს განახორციელებს. პროექტი „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ ხელს შეუწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ხარისხიანი განათლებისა და ხელსაყრელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის გზით. თუ მოსწავლეს ექნება ხარისხიანი და საფუძვლიანი განათლება იგი გადაწყვეტილებას პროფესიის არჩევის შესახებ უფრო მარტივად და სწორად მიიღებს, რაც მნიშვნელოვანი არის რგორც მოსწავლისათვის ასევე სასწავლებლის წარმომადგენლობისათვის.

შეხვედრის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა სორენ ნელმანმა ახალი პროგრამის „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ პრეზენტაცია გამართა, რომელიც საქათველოში განათლების სისტემის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

მიხეილ ჩხენკელი: „ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული განათლების რეფორმაში. შეხვედრაზე განვიხილეთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით ვახორციელებთ. ამ პროექტის ფინანსური ნაწილი 102 მილიონ დოლარს შეადგენს და იგი მოხმარდება როგორც საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ასევე, ხარისხის ამაღლებას განათლების ყველა საფეხურზე.

შეხვედრაზე დონორ ორგანიზაციებს შევთავაზეთ, პროდუქტიული თანამშრომლობა მრგვალი მაგიდის ფორმატში გავაგრძელოთ, რაც მათ საშუალებას მისცემს, თავიანთი საქმიანობა საქართველოს განათლების სისტემის განვითარებისათვის კოორდინირებულად წარმართონ.“

102 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ხუთ ძირითად კომპონენტს მოიცავს: სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის გაუმჯობესება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება; სისტემის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება; პროექტების მენეჯმენტის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება.

მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში პროექტის ინფრასტრუქტურული კომპონენტი უზრუნველყოფს ხუთი ახალი სკოლის მშენებლობას, დაახლოებით 60 არსებული სკოლის რეაბილიტაციას, ასევე, სკოლისთვის მოსამზადებლად ბავშვზე ფოკუსირებული და თანამედროვე სკოლამდელი განათლების 150-ზე მეტი პროგრამის დანერგვას. მთლიანობაში პროექტი სარგებელს მოუტანს სკოლამდელი ასაკისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაახლოებით 116, 000 მოსწავლეს.

თავი 3. პროფესიული განათლების სისტემა და მისი რეფორმა საქართველოში

3.1. საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის რეგულირების საკანონმდებლო საფუძველი

ქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ (მიღებულია 20/09/2018) კანონი შედგება XII თავისა და 40 მუხლისგან

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო. კერძოდ ამ კანონის მიზანია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარება, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელების ხელშეწყობა. ეს კანონი განსაზღვრავს პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივ ჩარჩოს, ადგენს პროფესიული განათლების სისტემის

მართვის პრინციპებს და პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა ძირითად საკითხებს.

II თავი ეძღვნება პროფესიული განათლების სისტემას რომელიც ხორციელდება

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის სახეებია:

ა.ა) საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

ა.ბ) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

ა.გ) უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

ბ) პროფესიული მომზადების პროგრამით, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს;

გ) პროფესიული გადამზადების პროგრამით, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს.

პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დაფინანსება და საგანმანათლებლო

დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობას განიხილავს თავი IX სხვა მუხლებში განხილულია დაფინანსებისა და ქონების განკარგვის საკითხები.

3.2. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ეკონომიკურ მაჩვენებლებში

პროფესიულ განათლებას საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია. თუ ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება, აუცილებლად საჭიროა კარგად მომზადებული მუშახელი. მის მომზადებაში კი პროფესიული განათლების სისტემა ცენტრალურ როლს ასრულებს. საქართველოში პროფესიული განათლების ერთ-ერთი პირველი სკოლა დააარსა დიდმა ქართველმა მეცენატმა ილია წინამძღვრიშვილმა. „მან 1883 წლის 4 სექტემბერს საკუთარ მამულში, თავისი ხარჯითა და საზოგადოების დახმარებით გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო სამეურნეო სკოლა, რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება. წინამძღვრიშვილმა სკოლას გადასცა 55 ჰა სახნავ სათესი მიწა, ტყე და 20 ათასი ლიტრის ტევადობის ღვინის სარდაფი საწნეხითა და ქვევრებით, შენობა კლასებისა და მუზეუმებისათვის, სახლი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, ორი სასადილო თავისი სამზარეულოთი და სარდაფით, პურის საცხობი და სახელოსნოები. სკოლას ჰქონდა საკუთარი სახელმძღვანელოები და მანქანა-იარაღები. წინამძღვრიშვილის მოთხოვნით, სკოლაში იღებდნენ მოსწავლეებს განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა“ . გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები ამ სკოლის გახსნის ცერემონიალზე: „ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და

გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი - აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან“

საქართველოში დღეისათვის პროფესიული განათლების მიმართულებით არსებობს უამრავი პრობლემა, რომელთაგან მნიშვნელოვანია :

- სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა სისტე¬მის ყველა დონეზე (შესაბამის სტრუქტურებში), პროფესიული განათლების მთელს პროცესში დაგეგმვიდან შეფასებამდე;

- პროფესიული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი დიალოგის საფუძველზე მძლავრი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. სოციალური პარტნიორობის ჩართულობა სისტემის ყველა დონეზე ზოგადად, ნაკლებია;

- ანალოგიურად, ნაკლებად დაბალანსებულია პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს, დარგობრივი საბჭოების, თემატური სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა. მათ შორის მეტია სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენელთა რაოდენობა და ნაკლები - სოციალური პარტნიორებისა;

- სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი ქსელი, როგორც გეოგრაფული ხელმისაწვდომობის, ასევე საგანმანათლებლო პროგ¬რამე¬ბის/დისციპლინების მრავალფეროვნების თვალსაზრისით; ქსელი აერთი-ანებს უმეტესად არა¬საკმარისი დაფინანსების, ნაკლებად ეფექტიანი მენეჯმენტის, განსხვავებული სტანდარტებისა და ხარიხის მატერიალურტექნიკური აღჭურვილობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფული ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. გარკვეულად წინააღმდეგობრივია მიდგომა,

ერთის მხრივ, გაუმჯობესდეს რეგიონალური დაფარვა, დაკმაყოფილდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, წახალისდნენ ადგილობრივი სტუდენტები და მეორეს მხრივ, სპეციალობები მეტად დაუახლოვდეს პოტენციურ დამსაქმებლებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სხვადასხვა ალტერნატივებზე მუშაობს, როგორიცა კერძო და საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კავშირის გაძლიერება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისების პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან იმ სფეროების შევსება, რასაც კერძო სექტორი ვერ ფარავს, ვინაიდან ფოკუსირებულია გარკვეულ დისციპლინებსა და სპეციალობებზე. ნაკლებად განვითარებული და დაშორებული რეგიონების სტუდენტებისათვის საჭიროა პრო¬ფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სისტემის ერთ-ერთი გამოწვევაა პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, რაც უმნიშვნელოვანესია სტუდენტების მოსამზადებლად რეალური სამუშაო გარემოს შესაბამისად, თანამედროვე ან მომავალში საჭირო ტექნოლოგიებისა და მოთხოვნების მიხედვით.

- პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; პროფესიული განათლების მასწავლებლის (როგორც თეორიულის, ასევე პრაქტიკულის) პროფესიაში შესვლისა და სისტემაში დარჩენის სტიმულირება.

დღეისათვის არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული გადამზადების სისტემა. პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება სისტემის დონეზე არ ხდება, რაც უზრუნველყოფდა ახალი და კვალიფიციური კადრების უწყვეტ განვითარებას; იგივე ითქმის პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტ

პროფესიულ მომზადებაზე. პროფესული განათლების მასწავლებლების დასაქმების ამჟამინდელი პრაქტიკა არაწამახალისებელია, და გარკვეულად ეწინააღმდეგება კიდეც კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების მომზადებისათვის საჭირო მიდგომას. მათ შორისაა მოკლევადიანი და წყვეტილი შრომითი ხელშეკრულებები, დაბალი ანაზღაურება, პროფესული განვითარების შესაძლებლობის არ არსებობა და სხვა. სწავლება-შეფასების საკითხებთან დაკავშირებული გარკვეული ტრენინგები ხელმისაწვდომია (პროფესული დაწესებულების მასწავლებლის დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით (2011), თუმცა, ნაკლებად ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება კონკრეტული დარგების მიხედვით ან/და სპეციალობის ფარგლებში.[11]

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები. ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი არის 18, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი არის 7, ავტორიზებული კერძო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯი არის 41.(იხილეთ დანართი 2)

ცხრილი 3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2015-2019 წწ (ერთეული)[12]

	2015		2016		2017		2018		2019	
	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო

[11] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები),

[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge [ბოლოს ნანახია 10.05.2020]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	11	--	10	1	10	1	9	1	6	1
პროფესიული კოლეჯი	40	11	25	10	23	11	23	11	11	25
საზოგადოებრივი კოლეჯი	41	9	36	12	35	14	38	13	38	3
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	13	5	11	15	15	16	9	14	7	14
სულ	105	25	82	38	83	42	79	39	73	43
	130		120		125		118		116	

ცხრილი 3.1 მაჩვენებლებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 2015 წლიდან 2019 წლამდე საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, შემცირდა 130 დან 116 ამდე (10 %) აქედან გაზრდილი არის საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებუბელიბის რაოდენობა 25 დან 43 მდე (72 %) რაც გულისხმობს რომ სულ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა შემცირდა იმის ხარჯზე რო გაიზარდა საჯარო პროფესიული დაწესებულებები

3.3. პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და კონკურენტუნარიანობის ამღლების მიმართულებები საქართველოში

საქართველოში ბოლო წლებში პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელდა რეფორმები, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;

- ევროპული მიდგომებისა და გამოცდილების საფუძველზე, შეიქმნა არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია და მეთოდოლოგია, წარმატებით დასრულდა აღიარების პილოტირების პროცესი;
- პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვისაც;
- პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2013 წელს დაიწყო. შედეგად, 2013 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი) და შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) 426 პირი ჩაირიცხა 23 პროფესიულ სასწავლებელში, 30-მდე სხვადასხვა პროგრამაზე. სასწავლებელი დაამთავრა ჩარიცხულ სტუდენტთა 40%-მა, ხოლო დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა მხოლოდ 31-ია. პირთა პროფესიული განათლება წარმატებულ ინიციატივად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუკი მას კურსდამთავრებულთა დასაქმება და პროფესიული უნარჩვევების რეალიზება მოჰყვება. შესაბამისად, განათლების სამინისტროსთვის აქტუალურ საკითხს, პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ, სსსმ სტუდენტთა დასაქმების მხარდაჭერა წარმოადგენს.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებლებისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს ინფორმაცია, თუ ვინ არიან სამუშაოს მაძიებელი პირები, მათი ცოდნის, უნარებისა და ინტერესების შესახებ. შემუშავდა რეკომენდაციები, რომ არსებობდეს შუალედური რგოლი დამსაქმებლებსა და შშმ და სსსმ პირთა შორის და დამსაქმებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გარკვეულ ინფორმაციაზე წვდომის. განათლების სამინიტროს ინიციატივითა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინიტროს ჩართულობით, მიმდინარეობდა მოლაპარაკება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შშმ და სსსმ პირთა დასაქმების სხვადასხვა სერვისების შექმნისა და პილოტირების თაობაზე. ამასთანავე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა პუბლიკაცია დამსაქმებლებისათვის,

სადაც განმარტებული იქნა, თუ რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და რატომ შეიძლება იყოს ეს მომგებიანი დამსაქმებლისათვის.[13]

- საქართველოში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის, აღიარების და მობილობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა: საქართველოში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის უმთავრესი ინსტრუმენტია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომლის ძირითადი მიზნებია ხელი შეუწყოს სტუდენტთა და დასაქმებულთა მობილობასა და უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას. EQF უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციები გახდეს ადვილად აღსაქმელი და გასაგები ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ქვეყნებისა და სისტემებისათვის. ასევე იძლევა ერთი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების შედარების საშუალებას მეორე ქვეყნის ეროვნულ კვალიფიკაციებთან. საქართველომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო 2010 წლის 10 დეკემბერს დაამტკიცა. იგი წარმოადგენს განათლების სისტემის სამი ძირითადი ქვესისტემის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) კვალიფიკაციათა ჩარჩოების ნაერთს და აკავშირებს სხვადასხვა საფეხურისა და ტიპის კვალიფიკაციებს იერარქიულად, ყველაზე დაბლიდან - უმაღლესამდე. ჩარჩო იძლევა საქართველოს კვალიფიკაციების დაკავშირების საშუალებას იმ ქვეყნების კვალიფიკაციებთან, რომლებშიც მოქმედებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები. თუმცა, 2014 წელს, გაანალიზდა საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან მიმართებაში და გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები (ჩარჩოს ტერმინთა განმარტებების, სწავლის შედეგების აღმწერებისა თუ კვალიფიკაციათა პროგრესირების - ჰორიზონტალური და ვერტიკალური). ანალიზის საფუძველზე, მომზადდა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს ახალი პროექტი და დაიწყო განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან/ორგანიზაციებთან. 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით (მათ შორის იყო ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“) სამართლებრივი საფუძველი შეიქმნა ჩარჩოს

[13] https://mes.gov.ge/content.php?id=6151&lang=geo [ნანახია 10.05.2020]

დამტკიცების, მისი დანერგვისა და შემდგომი განვითარებისათვის. ამასთან, ჩარჩოს დანერგვის მხარდაჭერის მიზნით „ევროპის განათლების ფონდთან“ (ETF) ერთად შემუშავდა ევროკავშირის ახალი ე.წ „Twinning“ პროექტი. მისი დაწყება დაგეგმილია 2019 წლის იანვარში და გაგრძელდება 2 წელი. კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო და განახლებული კანონმდებლობა ქმნის ახალ შესაძლებლობებს, მათ შორის არაფორმალური და ფორმალური განათლების აღიარების, საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების მიმართულებით. პროფესიული განათლების შესახებ ახალ კანონში აქცენტირებულია გაცვლითი პროგრამები და ერთობლივი პროგრამები, თუმცა კანონის ამ ნორმების ამოქმედებამდე და აღნიშნული მიმართულებით სისტემური მიდგომების ჩამოყალიბებამდე, ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორობა. 2017-2018 წლებში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა თუ კონკურსში:

- ქართულ ესტონური პროექტის ფარგლებში "საუკეთესო ესტონური გამოცდილების გაზიარება, რათა მხარი დავუჭიროთ კონკურენტუნარიანობას საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ 2018 წლის პირველ ნახევარში 2 კვირიან სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ახალი ტალღა" მზარეულის პროგრამის სტუდენტები ესტონეთში, ასევე განხორციელდა ესტონელი სტუდენტების ვიზიტი საქართველოში. ამასთან, 2018 წლის მეორე ნახევარში სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ახალი ტალღა" ლოგისტიჯის პროგრამის 4 პროფესიული სტუდენტი გაემგზავრა ესტონეთში 2 წლიან სწავლებაზე.
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის "იკაროსი" 40 სტუდენტი 3 თვიან სტაჟირებაზე იმყოფებოდა გერმანიაში. სტაჟირება დასრულდა 2018 წლის თებერვალში. სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს 24 სასტუმროში, რომლებთანაც კოლეჯი თანამშრომლობს მემორანდუმის საფუძველზე. ასევე, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის "იკაროსი" სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ტიპის მასტერკლასებსა და კონკურსებში სლოვაკეთსა და პოლონეთში. აღსანიშნავია,

რომ 2018 წლის მესამე კვარტალში ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს „იკაროსი“ სლოვაკეთიდან ეწვია 12 პროფესიული სტუდენტი და ადმინისტრაციის 6 წარმომადგენელი.

- 2017 წელს საქართველოს გუნდმა მონაწილეობა მიიღო Worldskills International-ის რიგით 44-ე საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც გაიმართა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. კონკურსში საქართველოს გუნდი შვიდ პროფესიაში იყო წარმოდგენილი: სამზარეულო საქმე, საკონდიტრო საქმე, სარესტორნო სერვისი, საპარიკმახერო საქმე, გრაფიკული დიზაინი, საინფორმაციო ქსელების გაყვანილობა და ვებდიზაინი.[14]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მრავალმხრივი ანალიზის, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის (საქართველო 2020), საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და პროფესიული განათლების სფეროში საუკეთესო ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის პროექტი. უნდა აღინიშნოს,რომ კანონის მიზნის არსებული რედაქცია ფრაგმენტულია და ხაზს უსვამს სფეროს მხოლოდ ეკონომიკურ მნიშვნელობას, რითაც გადაფარულია სხვა მიზნები, ხოლო მეორე მხრივ, კანონში მოცემული პროფესიული განათლების მიზნები არასრულად ასახავს სფეროს რეალურ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს. პროფესიული განათლების ფუნქცია, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის განვითარებასთან არის დაკავშირებული, უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ყველა დემოკრატიული და განვითარებული ქვეყნის ხელისუფლების განცხადებულ პოლიტიკაში. თუმცა, ამ მიზნით სფეროს სხვა მიზნების გადაფარვა პროფესიულ განათლებას ვიწრო საზღვრებში კეტავს და არ აღიარებს მის ფართო შესაძლებლობებს. კანონის პროექტი ცვლის მიდგომას პროფესიული განათლების მიმართ და გზას უხსნის იმ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომელთა მიზანია პროფესიული სერტიფიკატის (ცალკეული მოდულ(ებ)ის გავლის შემთხვევაში)

[14] პროფესიული განათლების რეფორმის ანგარიში https://www.mes.gov.ge/content.php?id=8806&lang=geo [ნანახია 11.05.2020]

გაცემა და რომელთა დასაუფლებლად, შესაძლებელია, სავალდებულო არ იყოს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა. ამ შესაძლებ-ლობის შექმნით პროფესიული განათლება გზას გაუხსნის ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე იმ პირებს, რომლებმაც ვერ შეძლეს საბაზო განათლების ატესტატის მიღება, მაგრამ შესწევთ უნარი, გამოიმუშავონ ცალკეული პროფესიული კომპეტენციები. მოქნილი, დიფერენცირებული, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (მაგალითად, უკვე დასამებული პირებისათვის, რომლებსაც სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, სურვილი აქვთ მიიღონ ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნა და კომპეტენციები[15]

პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გამოსავლენად ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი. შეირჩა 20 დასაქმებული, მათ შორის 10 საზოგადოებრივი კოლეჯიდან და 10 უმაღლესი სასწავლებლიდან.

- კურსდამთვრებულთა 50% აცხადებს - ახლა რომ აბარებდეს იგივე პროფესიას არ აიჩევდა.

დიაგრამა 3.1



[15] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, პროექტი

დიაგრამა 3.1-ის ანალიზი დიაგრამიდან ნათლად ჩანს რომ გამოკითხულთა 50% ახლა რომ აბარებდეს იგივე პროფესიას არ აირჩევდა. რადგან არ იყვნენ სკოლის პერიოდში სრულად ინფორმირებული არჩეული პროფესიის შესახებ.

დიაგრამა 3.2



დიაგრამა 3.2 -ის ანალიზი მოცემული დიაგრამიდან ჩანს რომ დასაქმებულთა 55% სურს პროფესიის შეცვლა და სწავლის გაგრძელება რათა აიმაღლონ კვალიფიკაცია სასურველ პროფესიაში.

დიაგრამა 3.3



.

დიაგრამა 3.3-ის ანალიზი იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებენ, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავენ, კითხვაზე, თუ რომელ სასწავლებელში გეგმავენ სწავლის გაგრძელებას, მათი 35% სწავლის გაგრძელებას გეგმავს უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო 15%-ს ჯერ არ გადაუწყვიტავს, თუ რომელ სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას.

დიაგრამა 3.4



დიაგრამა 3.4- ის ანალიზი დასაქმებულ რესპონდენტთა მიერ სასწავლებელში მიღებული კვალიფიკაციისა და სამუშაო ადგილზე არსებული მოთხოვნების შეფასებისას, მათი მხოლოდ 60% აცხა-დებს, რომ კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია, ხოლო 40% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვთ.

დიაგრამა 3.5



დიაგრამა 3.5-ის ანალიზი კითხვაზე, თუ სწავლის დასრულებიდან რამდენ ხანში დასაქმდნენ, 30%-ს სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო 55%-მა „6 თვემდე“ პერიოდში იპოვა სამსახური, ხოლო 10%-მა „6 თვე -1 წელი“ პერიოდში; დანარჩენებმა კი - „1-2 წელში“.

დიაგრამა3.6



დიაგრამა 3.6-ის ანალიზი თუ როგორ მოძებნეს სამსახური 65 % მიუთითებს რომ თავად მოძებნა, 15% კი-მეგობრებისა და ნაცნობების დახმარებით, 20% სასწავლებელმა დაასაქმა.

დიაგრამა 3.7



დიაგრამა 3.7-ის ანალიზი საზოგადოებრივ კოლეჯში ძირითადად საშუალო განათლების მქონე ადამიანები აბარებენ. საზოგადოებრივ კოლეჯში ჩაბარებამდე გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 60%-ს საშუალო განათლება (12 კლასი) ჰქონდა, 40%-ს - საბაზო განათლება (9 კლასი),

პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კვლევა მოიცავდა ღია კითხვებსაც, კერძოთ:

- რა მოსწონდათ და რა არ მოსწონდათ სწავლების პროცესში?
- მათი აზრით, როგორ შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო სწავლების პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში?
- ფიქრობდნენ თუ არა, რომ სკოლებში მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა პროფესიულ ორიენტაციას?
- როგორ აფასებდნენ თეორიული და პრაქტიკული სწავლების შეჯერების ამჟამინდელ ინიციატივას?

პასუხების შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტების უკმაყოფილებას ძირითადად იწვევს პრაქტიკული სწავლების ნაკლებობა. ასევე, გამოიკვეთა სწავლების პროცესის ერთფეროვანი ხასიათი. გაუმჯობესების კუთხით კურსდამთავრებულები მიუთითებენ უკეთეს ადმინისტრირებაზე, და ისეთი მექანიზმების ამოქმედებაზე, რაც აამღლებს სწავლის მოთხოვნებს.

დასკვნა

საქართველოს განათლების სისტემაში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება და რეფორმა განხორციელდა. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებული არაერთი პროგრამის მიუხედავად, ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა არის გადასაჭრელი.

საქართველოში მოსწავლეთა რაოდენობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 6%-ით. სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 36%-ით ხოლო დოქტორანტების რაოდენობა გაიზარდა 31%-ით. მაგრამ მნიშვნელოვანი არის სკოლაში მეტი ყურადღება დაეთმოს მოსწალის პროფესიულ ორიენტაციას, სტუდენტთათვის აუცილებელი არის მეტი პრაქტიკული ცოდნის მიღება რათა შესაძლებლობა ჰქონდეს მარტივად დასაქმდეს საკუთარი პროფესიით.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2019 წელს 2012 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ არის შემცირებული 5%-ით, დასაქმებულთა რაოდენობა 2%-ით გაიზარდა ხოლო უმუშევართა რაოდენობა 36%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა რომ დოქტორანტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა უმიშვნელოდ იზრდება რაც მიანიშნებს რომ სტუდენტებს მეტი

მობილიზაცია და ხელშწყობა სჭირდებათ რათა მოახერხონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის სწორად გამოყენება და დასაქმება.

ჩვენს მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგად დაახლოებით 50%-მა აღნიშნა, რომ თავიდან ჩაბარების შემთხვევაში იგივე პროფესიას არ აირჩევდა რაც მიუთითებს რომ მომავალი სტუდენტები პროფესიების შესახებ არ იყვნენ ინფორმირებული ან სწავლება იყო არასათანადო ხარისხზე. ამიტომ მნიშვნელოვანია ინფორმაციულობის გაზრდა სკოლებში პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილებით.

უმაღლესი განათლების სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ვფიქრობთ სასურველია განხორციელდეს:

- სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უნივერსიტეტებში;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- მოთხოვნად პროფესიებზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა;
- უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ზრდა
- დისტანციური სწავლების გაგრძელება COVID19-ის დასრულების შემდეგაც.
- მომავალ სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის კუთხით ინფორმირებულობის ზრდა;
- ბიუჯეტიდან სოციალურ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთათვის მეტი სახრსების გამოყოფა.

ჩვენ ასევე გავაანალიზეთ პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, სტატისტიკური ინფორმაცია და გავაკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

პროფესიული განათლების სისტემაში 2015 წლიდან 2019 წლამდე კრძო საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი ყოველწლირად მცირდებობა ბოლოს კი შემცირდა 30%-ით, საჯარო სასწავლებლების რაოდენობის ზრდის ფონზე

პროფესიული განათლების სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებია:

- პროფესიული განათლების სტუდენტთა დაფინანსების ზრდა;
- პროფესიულ სასწავლებელთა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდა;
- პროფესორ-მასწავლებლებისთვის გადამზადების მოკლევადიანი ინტენსიური კურსების შეთავაზება;
- დარგობრივი საბჭოების დაბალანსებული შემადგენლობის უზრუნველყოფა;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება;
- პროფესიული განათლების ცნობადობის გაზრდა საზოგადოებაში;
- პროფესიული სასწავლებლების პროგრამებში უცხო ენის საათების და მოთხოვნის გაზრდა.

ამგვარად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საკითხის კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული რეკომედაციების შესრულებით და EURAXESS-ში ჩართვით ევროკავშირის შიდა სამეცნიერო რესორსების გამოყენებით საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში ჩართვით და ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს მეცნიერების“ გამოცემით ამაღლდება უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბრეგვაძე თ., კვლევის ანგარიში, განათლება მდგრადი განვითარებისთვის საქართველო, თბ., 2011, გვ. 3.
- გელაშვილი ს., განათლებიდან მიღებული სარგებელი და მისი სტატისტიკური გაზომვის მეთოდები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, თბ., 2012, გვ. 65-81.
- მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები გამომცემლობა დიოგენე 2008 გვ 197-198.
- სამთავრობო პროგრამა თავისუფლება,სწრაფი განვითარება,კეთილდღეობა 2016-2020.
- პაიჭაძე ნ.,ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს კანონზე უმაღლესი განათლების შესახებ, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №4, თბ., 2015, გვ. 9-28.
- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები), თბ., 2013. www.mes.gov.ge [15.05..2020].
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge [ბოლოს ნანახია 10.05.2020].
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულება www.eqe.ge [ბოლოს ნანახია 03.05.2020]
- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლები

- პროფესიული განათლების რეფორმის ანგარიში [ბოლოს ნანახია 11.05.2020]
- საქარტველოს ანონი პროფესიული განათლების შესახებ.პროექტი.
- Waine K.Hoy Cecil G,Miskel , Educational Administration,USA, 6TH Edition,2006,pp-637.
- World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2009-2010, Country/Economy Profiles, Georgia,p.151.

http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2009-2010 [22.05.2020].

- World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2011-2012, Country/Economy Profiles, Georgia, p.183.

http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2011-2012[22.05.2020].

- World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2012-2013, Country/Economy Profiles, Georgia, p.175.

http://www.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf [22.05.2020].

- World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2015-2016, Country/Economy Profiles, Georgia, p.177.

http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2015-2016 [22.05.2020].

დანართი №1

ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

(წყარო : საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)

უნივერსიტეტები:

1 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2 სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

3 სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

4 სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5 სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

6 სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

7 სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

8 ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

9 სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

11 სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

12 სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

14 შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

15 შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

16 შპს - კავკასიის უნივერსიტეტი

17 ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

18 შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

19 შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

20 შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტი

21 შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

22 შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

23 შპს - ქუთაისის უნივერისტეტი

24 ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

25 შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

26 ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტი

27 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

28 სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

30 ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

31 სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სასწავლო უნივერსიტეტები:

1 სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2 სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

3 სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

4 სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

5 შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

6 შპს - სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედი"

7 შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

8 შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

9 შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

10 ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

11 შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

12 შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

13 შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

14 შპს - ევროპის უნივერსიტეტი

15 შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

16 სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

17 სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

18 შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი

19 შპს - ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი

20 შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

21 შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი

კოლეჯები:

1 შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

2 შპს თბილისის თავისუფალი აკადემია (ყოფილი - შპს უმაღლესი სასწავლებელი ,,ჯორჯია")

3 შპს "მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტი" (ყოფილი შპს "ნიუ უნივერსითი" და "უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია)

4 შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

1 ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

2 ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი

3 ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

4 საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია

5 ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია

6 ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია

7 ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია

8 ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

(წყარო : საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)

ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები

1. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“
2. სსიპ - კოლეჯი „აისი“
3. სსიპ - კოლეჯი „იბერია“
4. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
5. სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
6. სსიპ - კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
7. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“
8. სსიპ - კოლეჯი „მერმისი“
9. სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“
10. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“
11. სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“
12. სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“
13. სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
14. სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“

15. სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“

16. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

17. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

18. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯები

1. ა(ა)იპ - კოლეჯი „იკაროსი“

2. ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი“

3. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“

4. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“

5. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

6. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

7. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"

ავტორიზებული კერძო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები

1. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ფერმერთა სკოლა

2. შპს - „პროფიუნიტი“

3. შპს - „ორიენტირი“

4. შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

5. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“

6. შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის

7. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემია

8. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი

9. შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი

10. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy

11. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია

12. ა(ა)იპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი

13. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

14. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი

15. შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“

16. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი

17. შპს „სიო“

18. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

19. შპს თეგეტა აკადემია

20. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა

21. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი

22. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

23. შპს - „ცხუმ-ეგრისი“

24. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA

25. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

26. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია, საზოგადოებრივი კოლეჯი

27. შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

28. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

29. შპს - „არსი“

30. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

31. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

32. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი

33. შპს - მარნეულის კოლეჯი

34. შპს - „ბარაკონი“

35. შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯი

36. შპს ინტერბიზნესის აკადემია

37. ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნა“

38. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

39. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

40. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

41. შპს "კეონი აკადემია"

დანართი №3

კითხვარის რომლის მეშვეობითაც გამოიკითხა 20 რესპოდენტი

1. რა დაამთვარეთ? უმაღლესი სასწავლებელი თუ პროფესიული კოლეჯი?
2. ახლა რომ აბარებდეთ იგივე პროფესიას აირჩევდით?
3. გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას ან პროფესიის შეცვლას?
4. რომელ სასწავლებელში გეგმავთ სწავლის გაგრძლებას? უმაღლესი სასწავლებელში თუ პროფესიული კოლეჯში?
5. ხართ თუ არა დასაქმებული?
6. სასწავლებელში მიღებული კვალიფიკაციისა და სამუშაო ადგილზე არსებული მოთხოვნები შეესაბამება ერთმანეთს?
7. სწავლის დასრულებიდან რამდენ ხანში დასაქმდით?
8. როგორ მოძებნეთ სამსახური?
9. იყავით თუ არა ინფორმირებული ჩაბარებამდე პროფესიის შესახებ?
10. რატომ გადაწყვიტეთ სწავლა?
11. როგორ ფიქრობთ სკოლაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროფესიულ ორიენტაციას?
12. რა მოსწონდათ და რა არ მოსწონდათ სწავლების პროცესში?

13. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება გაუმჯობესებულიყო სწავლების პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში?
14. როგორ აფასებთ თეორიული და პრაქტიკული სწავლების შეჯერების ამჟამინდელ ინიციატივას?